ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!

# მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закфронта «Боец РККА» на грузинском языке

№ 116 (376) | კვირა, 30 სექტემბერი | 1945 წ.

## შეისწავლე შენი იარაღი

ეს მოხდა ფრონტის ერთ-ერთ უბანზე. გერმანელებმა ერთი დღის განმავლობაში ოთხჯერ მიიტანეს კონტრიერიში მაღლობზე, სადაც საბჭოთა მეომრების მცირე ჯგუფი დარჩა. ძალები არ იყო თანაბარი. მაშველმა ჯარმა დააგვიანა, ვაზნები თავდებოდა. მაგრამ მაღლობის დატოვება ორი დღის ბრძოლის უმიზნოდ ჩაელასა და ადგილმდებარეობაზე ბატონობის დაკარგვას ნიშნავდა.

მოწინააღმდეგე კვლავ იერიშზე გადმოვიდა. მაღლობიდან ხანდახან მოისმოდა ცალკეული სროლა. აუცილებლად ურტყამდნენ. ყველა მოუთმენლად მოელოდა, თუ როდის ამოქმედდებოდა ტყვიამფრქვევის ჯერი. თითოეულმა მებრძოლმა რამდენიმე ვაზნა გაიღო, რომ შევსებულიყო ერთი ლენტი. მაგრამ ტყვიამფრქვევი სდუმდა. მძიმე ვითარება შეიქმნა. რა მოხდა? ხომ არ მოჰკლეს მეტყვიამფრქვევე? შეიძლება ტყვიამფრქვევი შეფერხდა?.. გერმანელები თითქმის იქვე, ახლოს იყვნენ. გეგონებოდათ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მაგრამ ამ დროს დაუშინა ტყვიამფრქვევმა. ფრიცების წინა რიგები მოცელილივით მიწაზე დაეცნენ. ალყურთოვანებულმა მსროლელებმა ყოველგვარი კომანდის გარეშე მიიტანეს კონტრიერიში... მაღლობზე განაგრძობდა ფრიალს წითელი ალამი.

როცა, ბრძოლის შემდეგ, მეტყვიამფრქვევე საყვედურებით გაავსეს იმის გამო, რომ დააგვიანა ცეცხლის დაშენა, მან მშვიდად გადაუსვა ხელი ტყვიამფრქვევის როფს და სთქვა:

— მე მჯეროდა ჩემი იარაღისა... „მაქსიმს“ არ შეეძლო ეღალატა.

მეტყვიამფრქვევე ივანიცის ეს რწმენა შემთხვევითი როდია. მას სრულყოფილად ჰქონდა თავისი იარაღი შესწავლილი. ყოველ დროს, ღამითაც, თვალახვეულსაც კი შეეძლო ყველაზე უფრო სწრაფად დაეშალა და აეწყო საკეტი.

იარაღის სრულყოფილად ცოდნა კანონია ფრონტელებისათვის. უძლეველია ის მებრძოლი, რომელიც საფუძვლიანად არის თავის იარაღს დაუფლებული. ტყუილ-უბრალოდ როდი სწერია ჩვენს საბრძოლო წესდებაში: **„წესიერად მოქმედი ტყვიამფრქვევი მიუწდომელია ქვეითი ჯარის მოწინააღმდეგისათვის“.**

მოვიგონოთ ჩვენი ფრონტელი ქვემეხის გუნდები. რამდენი იყო ისეთი შემთხვევა, როცა ქვემეხთან ერთი არტილერისტი რჩებოდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ცეცხლის დაშენას, თითქოს ყუმბარები ჰქონოდა მას. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ თვითეულ მებრძოლს საუკეთესოდ ჰქონდა შესწავლილი თავისი ზარბაზანი და გუნდის ყველა ნომრის მოვალეობა.

ფრონტელები ამბობენ: თუ შესწავლილი გაქვს შენი იარაღი, გწამს მისი ძალა — გაბედულადაც მოქმედებ. ეს მართლაც ასეა. მეტყვიამფრქვევე ივანიცს შესწავლილი ჰქონდა თავისი იარაღი, იცოდა, თუ როგორ გამოეყენებინა იგი ბრძოლაში ისე, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიეღო. სწამდა მისი ძალა და მხოლოდ ამიტომ შესძლო ახლო მანძილზე მოეშვა გერმანელები, რათა მოესპო ისინი.

შეგვიძლია თუ არა ვსთქვათ, რომ ყველა მებრძოლი სრულყოფილად დაეუფლა თავის იარაღს? ცხადია, არა. ყველაზე საუკეთესო ინსტრუქტორი კი, თუ იგი განუწყვეტლივ არ მუშაობს და დიდი ხნის განმავლობაში თავის დაზგასთან არა სდგას, ივიწყებს თავის პროფესიას. ასეა მებრძოლიც,— თუ კი იგი სისტემატურად არა სწავლობს თავის იარაღს, არ ვარჯიშობს მის გამოყენებაში, ცხადია, რომ დაავიწყდება იგი, უკეთეს შემთხვევაში გახდება უბრალო „მსროლელი“, რომელიც შესძლებს მშვიდობიან ვითარებაში სასროლეთზე დაახვედროს სამიზნე. იარაღის შესწავლის, მატერიალური ნაწილის სრულყოფილად ათვისების საკითხები უნდა აღელვებდნენ არა მარტო ახალგაზრდა მებრძოლებს, არამედ გამოცდილ, მცირე სკოლაგავლილ მეომრებსაც.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ზოგიერთი წითელარმიელი, რომელმაც რამდენიმე წელიწადი იმსახურა არმიაში, თავის თავს ყოველმხრივ მცოდნედ სთვლის. თითქოს მათ არ სჭირდებოდეთ შაშხანისა თუ ტყვიამფრქვევის შესწავლა. ნამდვილად კი, როდესაც საქმე მათ შემოწმებას ეხება, ხშირად უხერხული მდგომარეობა იქმნება. მაგალითად, ასე მოხდა კაპიტან ბაბაევსკის ქვეგანაყოფში. აქ მებრძოლები დიდ ხანს გულგრილად ეკიდებოდნენ იარაღის შესწავლის საქმეს, რადგან თავიანთ თავს დიდ მცოდნეებად სთვლიდნენ. მაგრამ, როცა ნაწილის სარდლობამ შეამოწმა, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთს არ ჰქონდა თავისი იარაღი შესწავლილი.

არა კმარა იცოდე ნაწილის სახელები და ურთიერთმოქმედება, მებრძოლს უნდა შეეძლოს არა მარტო წარმოშობილ შეფერხების მიზეზის აღმოჩენა, არამედ მისი სწრაფად და დამოუკიდებლად თავიდან აცილება. სისტემატური სწავლისა და ვარჯიშის გარეშე კი ამის მიღწევა არ შეიძლება. მებრძოლი, სადაც არ უნდა იყოს თავის იარაღით — სასროლეთზე, სამეცადინო ველზე თუ კლასში, მოვალეა შეისწავლოს და სწორად გამოიყენოს იგი.

იარაღის სრულყოფილად ცოდნა არ შეიძლება განვსაზღვროთ მხოლოდ მისი მატერიალური ნაწილის შესწავლით. თვითეული იარაღის ეფექტიანობა იზრდება მაშინ, როცა ბრძოლაში სწორად იყენებენ მას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მებრძოლმა იცის თავისი შაშხანის, ავტომატის, ტყვიამფრქვევის, ნაღმსატყორცნის და სხვ. ბალისტიკური თვისებები. ეს კი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია მთებში მოქმედების დროს.

ჩვენმა იარაღმა, რომელიც გაკეთებულია საბჭოთა ადამიანების ხელით, უაღრესად სერიოზული გამოცდა ჩააბარა. ამ იარაღით გავანადგურეთ მტერი, მისი ტექნიკა, ამ იარაღით უზრუნველვყავით გამარჯვება.

მებრძოლო, შენი წმიდა მოვალეობაა სრულყოფილად დაეუფლო მას, მოუარო, როგორც თვალისჩინს.

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისალმება საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ა. მ. ვასილევსკის

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მოგესალმებიან თქვენ, წითელი არმიის ერთ-ერთ გამოჩენილ მხედართმთავარს და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნიჭიერ ორგანიზატორს — თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის დღეს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გისურვებენ თქვენ ჯანმრთელობას შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო**

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ა. მ. ვასილევსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. **ა. მ. ვასილევსკის** დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და სახელმწიფოსა და წითელი არმიის წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად ამხ. **ა. მ. ვასილევსკი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1945 წლის 29 სექტემბერი.

## დაიწყო საბჭოთა ჯარების გამოყვანა მანჯურიიდან

**ჩანჩუნი,** 29 სექტემბერი. (საკლესი). საბჭოთა სარდლობის ცნობით, საბჭოთა ჯარების ნაწილობრივი გაყვანა მანჯურიიდან უკვე რამდენიმე დღის წინათ დაიწყო. მთავარი ძალების გაყვანა დაიწყება ოქტომბრის მეორე ნახევარში. მანჯურიიდან ყველა საბჭოთა ჯარების გაყვანა დამთავრდება ამა წლის ნოემბრის დამლევისათვის. ჯარების გაყვანა სწარმოებს მარშალ მალინოვსკის კონტროლით, რის შესახებაც ეცნობა ჩინეთის სარდლობას.

## სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტისაგან

შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით განვმარტავთ:

1. სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომთან არსებული ცენტრალური ცნობათა ბიურო აწარმოებს მტრის ჯარების მიერ უცხოეთში გარეკილ, ომთან დაკავშირებით მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან ევაკუირებულ და ომის დროს უკვალოდ დაკარგულ პირთა ძებნას სამოქალაქო მოსახლეობიდან.

2. ცენტრალური ცნობათა ბიუროს მისამართია: ქ. მოსკოვი 127, კლიმენტოვსკის შესახვევი, სახლი № 1. ამ მისამართით უნდა გაიგზავნოს ყველა შეკითხვა მოქალაქეთა ზემოჩამოთვლილი კატეგორიების მოძებნის შესახებ.

დღეს გაიხსნება XX საოლქო სპარტაკიადა

## ძლიერთა და მამაცთა დათვალიერება

**საუბარი სპარტაკიადის მთავარი მსაჯის მოადგილე გვარდიის მაიორ ამხ. ფლამინთან**

დღეს, 13 საათსა და 30 წუთზე „დინამოს“ სტადიონზე გაიხსნება XX საოლქო სპარტაკიადა.

დიდი ხნის განმავლობაში ოლქის შენაერთების პირადი შემადგენლობა შერჩევით სპორტულ შეჯიბრებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ მოეპოვათ საპატიო უფლება სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად.

სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ ნაწილებისა და შენაერთების მოწინავე სპორტული კოლექტივები, ჩვენი ოლქის რჩეული ფიზკულტურელები. სპარტაკიადის მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 1945 წ. სიმაღლეზე ხტომაში გვარდიის ლეიტენანტი ათანელოვი, სპორტის ოსტატები ლეიტენანტი ნინკინი, უფროსი ლეიტენანტი გ. ახვლედიანი, ოფიცრის ცოლი სპორტის ოსტატი გაერილოვა და სხვ. შერჩევითი შეჯიბრების შედეგები გვაძლევენ უდაო საფუძველს დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ შეჯიბრებაში წინათ მოპოვებული რეკორდები გადაჭარბებული იქნება.

საოლქო სპარტაკიადის პროგრამა შეიცავს ოცეულების სამხედრო-სპორტულ მრავალჭიდს, ცურვას, მძლეოსნობას, ტანვარჯიშს, ხელჩართულ ბრძოლას, მოტო-ველო გადარბენას, ფეხბურთელთა და კალათბურთელთა შეჯიბრებას.

სპორტული შეჯიბრებანი ჩატარდება „დინამოს“ სტადიონზე და სპორტულ დარბაზში, კიროვის სახელობის ბაღში კალათბურთის მოედანზე და წყლის აუზში.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია ჯილდოები. საუკეთესო სპორტულ კოლექტივს გადაეცემა ოლქის სამხედრო საბჭოს გარდამავალი დროშა. სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი დაჯილდოებული იქნებიან ძვირფასი საჩუქრებით და სამხედრო საბჭოს სიგელებით.

28 სექტემბერს მოეწყო სპარტაკიადის მონაწილე კოლექტივების წინასწარი სავარჯიშო გამოსვლები. თბილისის ქვეითი ჯარის სასწავლებლისა და ოფიცერთა დახელოვნების კურსების კურსანტებმა ზუსტად და მწყობრად შეასრულეს ვარჯიში შაშხანით.

უნდა აღინიშნოს უმცროს ლეიტენანტ ამხ. დარახველიძის ოცეულის ფიზკულტურელების მიერ გასამხედროებული ცეკვის „ხორუმის“ საუკეთესოდ შესრულება. ქართული მელოდიების ჰანგებში გათამაშებულ იქნა პანტომიმა, რომელიც ასახავს მამაც მზვერავთა მოქმედებას, ხელჩართულ ბრძოლასა და მტრის განადგურებას. ცეკვის აპოთეოზი — გამარჯვების წითელი დროშა, ნაციონალური ინსტრუმენტების—დოლისა და დუდუკის აკომპანიმენტს ქვეშ მებრძოლთა მწყობრის წინ საზეიმოდ გამოაქვს ლეიტენანტ ამხ. მარკოზაშვილს.

გუშინ გრძელდებოდა ფიზკულტურელების სავარჯიშო გამოსვლები.

XX საოლქო სპარტაკიადა 7 ოქტომბრამდე გაგრძელდება და უდაოა, რომ იგი იქნება ჩვენი ოლქის ფიზკულტურელ მეომრების სპორტულ მიღწევათა მძლავრი დემონსტრაცია.

# წითელარმიელ კირიუშინის გეგმა

(პოლკოვნიკ სლავინის ნაამბობი).

თქვენ არა ყოფილხართ სახელგანთქმულ ბრიანსკის ტყეებში? მაშ თქვენთვის ძნელი წარმოსადგენი იქნება, თუ რას წარმოადგენდა გერმანელთა თავდაცვა. ხშირ, გაუვალ ტყეში გერმანელებმა წინასწარ გასთხარეს ღრმა სანგრები, რომელსაც ძელიანი მიწაყრილები შემოავლეს. მათ გამოთვლილი ჰქონდათ ყოველი მეტრი მიწისა და მართლაც, თავს მიუდგომლად გრძნობდნენ. როცა ჩვენმა ცხენოსანთა პოლკმა განიზრახა გზიდანვე შეჭრილიყო გერმანელთა განლაგებაში, მათ ისეთი ცეცხლი დაგვიშინეს, რომ თავის აწევა შეუძლებელი იყო.

ვერაფერს გავხდით, ვერც საარტილერიო მომზადებით და ვერც სატანკო იერიშით.

რამდენჯერმე დღისითაც და ღამითაც მიდიოდა ჩვენი დაზვერვა, რათა გამოერკვია მტრის თავდაცვის სისტემა, მაგრამ ფაშისტები განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენდნენ და მზვერავთა ყოველგვარ ცდას წარმატება არ ჰქონდა.

და აი, აქ დაგვეხმარა ჯარისკაცური მოხერხებულობა. პირველი ესკადრონის მზვერავმა წითელარმიელმა კირიუშინმა ესკადრონის მეთაურს წარუდგინა „მოენის" მოსპობის გეგმა.

როცა ესკადრონის მეთაურმა პოლკოვნიკს უამბო მზვერავის ნაზრევი, მან მხოლოდ ხელი გაშალა. რა უბრალოა! და იმავე დღესვე მიცემულ იქნა განკარგულება შეესრულებინათ კირიუშინის ნაზრევი.

რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანელები შეეჩვივნენ იმას, რომ დილით და საღამოთი ჩვენ ვაწარმოებდით საარტილერიო თავდასხმას, რასაც თან სდევდა იერიში. ამიტომაც, როცა დაბნელების წინ კვლავ ალაპარაკდნენ ჩვენი ზარბაზნები, ფაშისტები იერიშის მოსაგერიებლად მოემზადნენ. თუმცა იმჯერად იერიში არ იყო ჩვენი ამოცანის მთავარი მიზანი. მართალია, გერმანელებმა დაინახეს, რომ მათი თავდაცვისაკენ კვლავ დაიძრნენ ტანკები, ქვეითები და ცეცხლიც დავუშინეთ, მაგრამ ამ იერიშში მათ ვერ შენიშნეს მთავარი.

სანამ მიმდინარეობდა სროლა, მზვერავთა ჯგუფი კირიუშინის მეთაურობით ხოხვით მივიდა ძლიერ ახლოს მტრის მავთულღობეებთან და ჩაუსაფრდა მათ. როცა ჩვენმა მოიერიშე მებრძოლებმა უკან დაიხიეს, მზვერავები დარჩნენ და დაელოდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას.

აქ ამოქმედდა კირიუშინის გეგმის მეორე ნაწილი. იერიშის დამთავრების შემდეგ პოლკის მეთაურმა ბრძანა შეწყვეტილიყო ყოველგვარი მოძრაობა, ხმაური, ლაპარაკი, რათა მტრისათვის შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ უკან დავიხიეთ.

ჩვენსა და გერმანელებს შორის მანძილი 700 მეტრს არ აღემატებოდა. ჩვეულებრივად ჩვენ ვხედავდით ერთიმეორეს. დილით გერმანელებმა ალიაქოთი ასტეხეს: პოლკი წავიდა, მაგრამ სად?

საღამომდე დრომ მშვიდად ჩაიარა, ხოლო სიბნელეში, როგორც ჩვენ მოველოდით, გერმანელებმა დაზვერვა გამოგზავნეს, რასაც ისინი წინა დღეებში არ მიმართავდნენ.

იმწუთიერი ცეცხლის დაშენის შემდეგ ერთიოდ გაშლილი გერმანელთა ჯგუფი მოიწევდა ჩვენსაკენ. მაგრამ ვასრულებდით რა გეგმას, ჩვენ ცეცხლს არ ვუშენდით.

ჩასაფრებული მზვერავები ხედავდნენ ამ სურათს და თავიანთ არსებობის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდნენ. ყველაფერი წყნარად მიდიოდა. ერთი ფაშისტთაგანი პირდაპირ კირიუშინის მებრძოლებს შეეჯახა. მოხდა მოკლე ხელჩართული ბრძოლა, რის შემდეგაც ტყვე ხელში ჩაიგდო. ვიდრე გერმანელები გაერკვეოდნენ და შეეგუებოდნენ შექმნილ მდგომარეობას, ჩვენი მზვერავები უკვე მიათრევდნენ „მოენს".

დაკითხვა დაიწყო დაუყოვნებლივ.

გამოირკვა, რომ გერმანელებს წინ ჰქონდათ ელექტრომავთულიანი მავთულღობეები, დანაღმული ველები და ღრმად განშტოებული ტრანშეები. როცა კი დაიწყებოდა ჩვენი საარტილერიო მომზადება, შექმნილი დაბრკოლებებით დაიმედებული ფაშისტები სტოვებდნენ სანგრებს და მიდიოდნენ ძლიერ გამაგრებულ ბლინდაჟებში. ბრუნდებოდნენ უკან ჩვენი იერიშის დასაწყისში.

დილით, ჩვენ ისე როგორც წინათ, დავიწყეთ საარტილერიო მომზადება. მაგრამ ვაწარმოებდით მას მხოლოდ იმდენხანს, რომ გერმანელებს მოესწროთ თავიანთ ბლინდაჟებში შესვლა. რამდენიმე წუთის შემდეგ არტილერია მტრისათვის მოულოდნელად ჩაჩუმდა და ჩვენი მებრძოლები წინასწარ მომზადებული გასასვლელებით შეიჭრნენ მტრის ტრანშეებში.

# ზემდეგი კამია

— წავიდეთ, ხალათი გავირეცხოთ.

— მე წვერიც გასაპარსი მაქვს, მაგრამ ხვალისთვის გადავდევ, დღეს არა მცალია.

— როგორ თუ არა გცალია. დაგავიწყდა ზემდეგის დარიგება?

— ჰო მართლა, სწორია ყველაფერი დღეს მოვასწრო, თორემ ზემდეგი კამია ხვალ ასეულის წინაშე შემარცხვენს.

ასე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს მებრძოლები კამიას შესახებ, რომელიც მთელს ნაწილში ცნობილია, როგორც მოწინავე სამაგალითო ზემდეგი. რაში გამოიხატება ამხ. კამიას მოწინავეობა?

პირველყოვლისა იმაში, რომ ზემდეგი კამია განსაკუთრებულ პასუხისმგებლობით ეკიდება ასეულის საბრძოლო ცხოვრებას. იარაღი ქვეგანაყოფში სანიმუშოდაა მოვლილი. დაცულია სისუფთავე, და წესრიგი. საცხოვრებელი ბინა დალაგებულია ლამაზად და სუფთად. მებრძოლები ყოველთვის დაუგვიანებლივ ღებულობენ ცხელსა და გემრიელ საჭმელს. ზემდეგი დიდ ყურადღებას აქცევს კერძის წესიერად განაწილებას და მებრძოლებისათვის მის უკლებლივ მიწოდებას.

მებრძოლებმა კარგად იციან, რომ უსუფთაობას არავითარ შემთხვევაში არ აპატიებს ზემდეგი კამია. იციან, რომ ასეულში ყოველ საგანს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და, ვინც ამას დაარღვევს, სასჯელსაც მიიღებს. ამიტომ მკაცრად იცავენ წესრიგს.

ასეთია ამხ. კამია, როგორც ზემდეგი. იგი ჭეშმარიტად უყვართ მებრძოლებს, რადგან იციან, რომ ზემდეგი მათთვის ზრუნავს, მათთან ერთად იზიარებს ჯარისკაცური ცხოვრების სიძნელეებს.

**უფროსი სერჟანტი ქ. ბეშიტაიშვილი.**

# ოცეულის მეთაურის მებრძოლი თანაშემწე

რამდენიმე თვეა, რაც უმცროსი სერჟანტი ბადრიაშვილი მუშაობს ოცეულის მეთაურის თანაშემწის თანამდებობაზე. ამ ხნის განმავლობაში ამხ. ბადრიაშვილმა დიდი ენერგია გამოიჩინა და საპატიოსნოდ დაიმსახურა პირადი შემადგენლობის სიყვარული და პატივისცემა.

ამხ. ბადრიაშვილმა იგრძნო, რომ ახალმა თანამდებობამ მას დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა. იგი შეუდგა გულმოდგინედ მუშაობას თავისთავზე. თავისუფალ საათებში ამხ. ბადრიაშვილი ყურადღებით სწავლობს ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდებას, ეცნობა დარიგებებს სროლის საქმის შესახებ და სხვ. გარდა ამისა, იგი სისტემატურად ესწრება სერჟანტთა მეცადინეობას, იწერს მეთაურის შენიშვნებს და კითხულობს მითითებულ სამხედრო ლიტერატურას.

ოცეულის მეთაურთან ერთად ამხ. ბადრიაშვილმა საქმიანად მოჰკიდა ხელი ოცეულის პირად შემადგენლობაში დისციპლინის განმტკიცებისა და საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლების საქმეს.

ტაქტიკურ და საცეცხლე მეცადინეობაზე ამხ. ბადრიაშვილმა გამოამჟღავნა თემის დამუშავების უნარი და შესაბამი ინიციატივა.

ამას წინათ ოცეული გავიდა ტაქტიკურ მეცადინეობაზე, ვამუშავებდით თემას: „ათეულის ცეცხლითი მართვა შეტევის დროს". ამხ. ბადრიაშვილმა წინასწარ შედგენილი კონსპექტის გამოყენებით მებრძოლებს გააცნო თემის შინაარსი, წაუკითხა სათანადო პარაგრაფები წითელი არმიის ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდების 1-ლი ნაწილიდან, შემდეგ გასცა საბრძოლო ბრძანება. ათეულები გაიშალნენ და შეუდგნენ მოქმედებას. ამხ. ბადრიაშვილი ხან ერთ, ხან მეორე ათეულთან იყო, თვალყურს ადევნებდა მათ მოქმედებას და გზადაგზა იძლეოდა სათანადო მითითებებს. მეცადინეობა ნაყოფიერად ჩატარდა.

ამხ. ბადრიაშვილი ჩამორჩენილ მებრძოლებთან დამატებით მუშაობს, ყოველმხრივ ეხმარება მათ. ბადრიაშვილის დახმარებით ოცეულში გაიზარდა ფრიადოსანთა რიგები. მათ შორის აღსანიშნავია წითელარმიელები მჭედლიშვილი, მენთეშაშვილი, ელიზბარაშვილი და სხვები.

ამხ. ბადრიაშვილმა საუკეთესო მუშაობისათვის ამას წინათ მიიღო ასეულის მეთაურის მადლობა.

**უფროსი სერჟანტი ა. რატია**



უფრ. ლეიტენანტ ჩიტალაძის არტილერისტები ტაქტიკურ მეცადინეობაზე. უფრ. სერჟანტ ვ. მიროგიშვილის ქვემეხის გუნდი, იკავებს რა გადასასვლელს, პირდაპირი დამიზნებით ცეცხლს უშენს „მოწინააღმდეგეს".

ფოტო უფრ. ტექნიკ-ლეიტენანტ ჯ. კრიშკისა.

# დავალებათა შესრულების შემოწმება

ბოლო ხანებში კომუნისტი ს. ბაზუაძე ხშირად მომმართავდა ხოლმე, რომ მისთვის რაიმე პარტიული დავალება მიმეცა. მე ძალიან მსიამოვნებდა ამხანაგის მიერ ასეთი აქტივობის გამოჩენა.

დავფიქრდი. რა დავალება უნდა მიმეცა? და აი გამახსენდა.

— მოეხმარე ამხანაგს კედლის გაზეთის გამოშვებაში, — ვუთხარი მე მას.

ბაზუაძემ უარი განაცხადა. თავის უკმაყოფილებას იგი იმით ასაბუთებდა, რომ არ იყო გაცნობილი ძირეული პრესის მუშაობას. მიუხედავად ამისა, ის მაინც გავაგზავნე ქვეგანაყოფში. მაგრამ რა გამოვიდა? გავიდა ხანი და კედლის გაზეთს მაინც გაუმჯობესება არ ეტყობოდა.

ამ შემთხვევამ დამარწმუნა, რომ ყოველი დავალება კომუნისტს მისი შესაძლებლობისა და სურვილის მიხედვით უნდა ეძლეოდეს, ეს საქმისათვის გაცილებით უფრო სასარგებლოა და მიზანშეწონილი.

მე შეცდომა დავუშვი იმითაც, რომ დავალება თავის დროზე არ შევამოწმე. ეს რომ თავის დროზე გამეკეთებინა, მის მაგიერ სხვა ამხანაგს გამოვყოფდი, ან დავეხმარებოდი და მუშაობასაც ენერგიულად შეუდგებოდა.

შემდეგში პარტიული დავალებების შესრულების შემოწმებას მე უდიდეს ყურადღებას ვაქცევდი და საქმეც წინ წავიდა. ამჟამად პარტიის წევრები და კანდიდატები მიცემულ დავალებას ზუსტად ასრულებენ. მათ მუშაობაში ემჩნევათ ყოველდღიური ზრდა.

ქვეგანაყოფი სასწავლო სროლისათვის ემზადებოდა. ზოგიერთ მებრძოლს შიში იპყრობდა. ამხანაგ დ. ებრალიძეს, როგორც მოწინავე კომუნისტსა და აგიტატორს, დავავალე მებრძოლთა შორის საუბარი ჩაეტარებინა რუსული შაშხანის შესახებ, ამავე დროს პრაქტიკულად ეჩვენებინა ამხანაგებისათვის სროლის ილეთები.

რამდენიმე ხნის შემდეგ მე შევამოწმე, თუ როგორ ასრულებდა იგი დავალებას. გამოირკვა, რომ ებრალიძემ გამონახა მათთან საერთო ენა და ხელი შეუწყო იარაღისადმი სიყვარულის გაძლიერებას. იგი ყოველ თავისუფალ დროს სროლის წესების პრაქტიკულად ჩვენებას ანდომებდა. მაგრამ მან აქ ერთი შეცდომა დაუშვა — სახელდობრ ის, რომ ოცეულის მეთაურის როლი გაინაწილა. საჭირო შეიქმნა მითითება მიმეცა. საქმეც გამოსწორდა.

არანაკლები ჭკუის სასწავლი იყო ის შემთხვევა, რომელიც სალიხოვს მოუვიდა. მას დაევალა პარტიის წევრობის კანდიდატებთან საუბრის ჩატარება ბოლშევიკური პარტიის ბრწყინვალე ტრადიციების შესახებ. დავალება ძალიან სერიოზული იყო და ისიც დიდად კმაყოფილი დარჩა. მაგრამ ორი დღის შემდეგ, როცა მე ვკითხე თუ როგორ მიდის საქმე, მან ნაღვლიანად მითხრა:

— ავჩქარდი, ჩემი ძალღონე ვერ შევაფასე, ამ თემას ვერ დავძლევ.

საჭირო იყო დახმარების გაწევა, რათა მიგვეთითებინა მთელ რიგ ფაქტებზე, რომლებიც ნათელს ჰფენდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს ჰიტლერელ ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რამდენიმე დღის შემდეგ ებრალიძემ საუბარი შესანიშნავად ჩაატარა, ახლა მისი გამოსვლები უდაო წარმატებით სარგებლობენ.

პარტიის კანდიდატს ამხ. გ. ნაცვალაძეს დაევალა საგაზეთო ვიტრინის მოწყობა. მან კეთილსინდისიერად შეასრულა დავალება.

— ახლა რა უნდა გავაკეთო?

— ყურადღება მიაქციე ვიტრინას, — ვუპასუხე მე.

ნაცვალაძე კარგად მუშაობდა და კარგ მაჩვენებლებსაც მიაღწია. იგი გულმოდგინედ არჩევდა მასალებს ჟურნალ-გაზეთებიდან. ზოგიერთ მნიშვნელოვან წინადადებებს ხაზს უსვამდა, ზოგს კი იწერდა ხოლმე.

ყველა ეს მაგალითები ერთხელ კიდევ გვარწმუნებენ, რომ საჭიროა არა მარტო პარტიული დავალებების სწორად განაწილება, არამედ მათი შესრულების ყოველდღიური შემოწმებაც.

**ასეულის პარტორგი სერჟანტი მ. კოხია**



სერჟანტი უფრ. ტექნიკ-ლეიტენანტ ამხ. გუმბარიძე ემზადება შემოწმებითი შეკრებისათვის, რომელიც მიეძღვნება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მე-6 და მე-7 თავებს

ფოტო უფრ. ტექნიკ-ლეიტენანტ ა. კრიმჩუკისა.

## ვსწავლობთ რუსულ ენას

არმიაში წასვლამდე სუსტად ვიცოდი რუსული ენა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ვსწავლობდი და ერთხელაც არ ჩავფიქრებულვარ მასზე, თუ რა როლს ითამაშებდა ჩემს ცხოვრებაში რუსული ენის ცოდნა.

არმიაში მოსვლისთანავე ნაწილის სარდლობამ სასწავლებლად გამგზავნა უმცროს მეთაურთა სადივიზიო სკოლაში. რუსული ენის სუსტი ცოდნის შემთხვევაშიც კი უფრო მიადვილდებოდა იარაღის, წესდებისა და დარიგებების შესწავლა, ვიდრე იმ კურსანტებს, რომელთაც მარტო თავიანთი მშობლიური, ქართული ენა იცოდნენ.

კურსანტად ყოფნის დროს მე დიდი მონდომებით განვაგრძობდი რუსული ენის შესწავლას. სწავლის დასრულების შემდეგ მე დამნიშნეს ათეულის მეთაურად ისეთ ასეულში, სადაც მებრძოლთა უმეტესობა ქართველებია. ასეულის მეთაურმა დამავალა მეშველობა მათთან რუსული ენის შესწავლაში, ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური წრე.

მებრძოლებს ვასწავლიდი შემდეგი მეთოდით: თავდაპირველად შევუდექით ანბანის შესწავლას და გზადაგზა ვასწავლიდი ცალკეულ სიტყვებს, ისეთებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდებოდა საუბარში: საწყისები კომანდებს, იარაღის, სამხედრო საგნების სახელწოდებას და ა. შ. ყოველდღიურად მებრძოლები სწავლობდნენ რამდენიმე ახალ სიტყვას. ძნელად დასამახსოვრებელთ ვწერდით ქართული ასოებით.

მებრძოლებმა ლურსმანაშვილმა, გრიგოლაშვილმა, ბუაჩიძემ რუსულად არ იცოდნენ არც ერთი სიტყვა. ამჟამად კი ლაპარაკობენ და სწერენ კიდეც რუსულ ენაზე. ლურსმანაშვილი და გრიგოლაშვილი უმცროს მეთაურთა კურსებზე არიან გაგზავნილი.

ამ წლის დასაწყისში ჩვენთან მოვიდა შვიდი მებრძოლი—მაღრაძე, ლომსაძე, ცრუაძე და სხვ., რომლებმაც აგრეთვე სრულებით არ იცოდნენ რუსული ენა. მათაც შევასწავლეთ. ახლა კი ჩვენს ასეულში არაა არც ერთი მებრძოლი, რომელმაც არ იცოდეს ჩვენი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის ენა. ყველა მებრძოლი დიდის სიყვარულით განაგრძობს რუსული ენის შესწავლას. ყველა ცდილობს რაც შეიძლება ხშირად გამოვიდეს სიტყვით კრებაზე რუსულ ენაზე და რუსულადვე წაიკითხოს გაზეთები და ბროშურები.

ამჟამად ჩვენს ქვეგანაყოფში ცოტა არის ისეთი ქართველი მებრძოლი, რომელიც ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ რუსულ ენაზე არა სწავლობდეს.

სერჟანტი ა. რუსია

## მონდომებული მუშაობის შედეგი

ახალგაზრდა მეომრებმა გუჯაბიძემ, ჯოხაძემ და კვარაცხელიამ ქვეგანაყოფში მოსვლის პირველ დღიდანვე შეიყვარეს რუსული სამხაზიანი შაშხანა. ისინი მონდომებით სწავლობდნენ მის მატერიალურ ნაწილს, დამიზნების ტექნიკას.

მალე ქვეგანაყოფმა საბრძოლო-სამოსწავლო სროლები ჩაატარა. ყველას ყურადღება მიპყრობილი იყო ახალგაზრდა მეომრებისადმი. მათ სასროლეთზე საქმით უნდა დაემტკიცებინათ სიყვარული თავიანთი მებრძოლი მეგობრის — სამხაზიანი შაშხანისადმი. განსაკუთრებით ღელავდა ქვეგანაყოფის პარტორგი ამხ. კალანდაძე. გუჯაბიძე, ჯოხაძე და კვარაცხელია კომუნისტები არიან. პარტორგმა მათთან დიდი მუშაობა ჩაატარა და დღეს საკუთარი თვალით უნდა ენახა ჩატარებული მუშაობის ნაყოფი.

საცეცხლე ხაზთან პირველად მებრძოლი კვარაცხელია მივიდა. მან ზუსტად დააზიანა სამიზნე. კვარაცხელიას არ ჩამორჩნენ ჯოხაძე და გუჯაბიძეც. სროლების დამთავრების შემდეგ აღნიშნულ მებრძოლებს მეთაურმა მწყობრის წინ მადლობა გამოუცხადა.

თავისი საქმით დაინტერესებული მებრძოლები მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ. მათ იცოდნენ, რომ ერთ ადგილზე გაჩერება სამხედრო საქმეში ჩამორჩენას ნიშნავს. ამიტომ ბუნებრივი იყო მათი სურვილი—გამხდარიყვნენ სნაიპერები.

აქ კი დიდი და გულმოდგინე მუშაობა იყო საჭირო. ისინი, პირველყოვლისა, დაეუფლნენ სნაიპერულ შაშხანას, გაეცნენ სნაიპერების შესახებ არსებულ ლიტერატურას, საგაზეთო სტატიებს. მათ განსაკუთრებით გულმოდგინედ შეისწავლეს ფრონტელი სნაიპერების საბრძოლო გამოცდილება. და კვლავ გაიმარჯვა მონდომებამ და საქმის სიყვარულმა. ახლა გუჯაბიძე, ჯოხაძე და კვარაცხელია სნაიპერული ცეცხლის ოსტატები არიან, ზედმიწევნით იციან სნაიპერული შაშხანის მატერიალური ნაწილი, მათი ურთიერთმოქმედება, შეფერხებათა მიზეზები და ამ შეფერხებათა სწრაფად აღმოფხვრა.

კომუნისტი სნაიპერები მარტო თავიანთი წარმატებებით როდი კმაყოფილდებიან. ისინი გულმოდგინედ ეხმარებიან აგრეთვე ჩამორჩენილ მებრძოლებს მეომრული ოსტატობის სრულყოფაში.

წითელარმიელი დ. ჯოჯუა

## საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობა

ჩვენმა სახელმწიფომ დიდი სამამულო ომის წლებში შესძლო ფრონტის ინტერესებისათვის გამოეყენებინა ყველა თავისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და საბჭოთა ადამიანების ცოდნა და უნარი წარემართა ერთიანი მიზნისაკენ — მტერზე გამარჯვებისაკენ. საბჭოთა ადამიანებმა — ზურგის მშრომელებმა არ იცოდნენ შიში ბრძოლაში, დაღლა შრომაში, ისინი ფრონტთან შეერთდნენ და სამშობლოს დასაცავად ერთი მთლიანი საბრძოლო ბანაკი შექმნეს. და ჩვენ გავიმარჯვეთ

საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომითს გმირობას განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებენ დონბასის აღდგენის მაგალითები.

განთავისუფლებული დონბასის ცხოვრების ორი წელი აღმაფრთოვანებელი, შემოქმედებითი, თავდადებული შრომის წლები იყო. დონბასში დღეს თითქმის არ არის არც ერთი შახტი, სადაც აღდგენითი სამუშაოები არ სწარმოებდეს. 300 ძირითად მსხვილ შახტიდან მთლიანად აღდგენილია დაახლოებით 100, ნაწილობრივად — 50 და 140 იმყოფება აღდგენის პროცესში. მარტო უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ერთიორად გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. ახლა დონბასი ომამდელი მოპოვების თითქმის ნახევარს იძლევა, ხოლო ახალ, მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ომამდელ დონეს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის ათი წელი შეიქნა საჭირო, რომ ქვანახშირის მოპოვების 1913 წლის დაბალ დონემდე მიეღწია. ახლა კი გერმანელების მიერ ძირ-ფესვიანად დანგრეული ქვანახშირის დონბასი ხუთი წლის განმავლობაში აღსდგება, ამასთან რეკონსტრუირებული და განახლებული იქნება.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 11 წელზე მეტი დრო დასჭირდა დონბასის მეტად ჩამორჩენილ და პრიმიტიულ შავი მეტალურგიის აღდგენას. ახლა კი სულ სხვა დროა, სხვა ვადები. ამჟამად დონბასში უკვე 11 ბრძმედი მოქმედებს. მარტენები და საგლინავი ჩარხები მუშაობენ ყველა ქარხანაში. ხუთი წლის განმავლობაში აღდგენილი იქნება გერმანელების მიერ ბარბაროსულად დანგრეული სამხრეთის მეტალურგია.

ათასობით შესანიშნავი ადამიანი გამოიზარდა სტალინოს ოლქის შახტების დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ესენი არიან მეშახტეები ივანე სატანინი, სტეფანე რუბანი, მაქსიმ საფრონოვი, პეტრე ტატარენკო, ნიკოლოზ კასაი და სხვა მრავალი. შახტ „კომსომოლეცის“ უძველესმა მნგრეველმა ივანე ბორისის-ძე სატანინმა გასულ წელს წლიური ნორმა 293 პროცენტით შეასრულა. ახლა იგი ნორმას ასრულებს არა ნაკლებ 300 პროცენტისა.

ომამდე ვოროშილოვგრადის ოლქის შახტი „ანენსკაია“, როცა კადრის სამთო მუშები მუშაობდნენ, დღე-ღამეში 750 ტონა ქვანახშირს იძლეოდა. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ სჭარბობენ ახალგაზრდა მუშები — გუშინდელი კოლმეურნეები, შახტი იძლევა 890 ტონას, ცალკე დღეებში კი 1200 ტონას. სტალინოს ოლქში საჭრელავი მანქანების მძღოლთა შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს მიხეილ მაშჩენკომ და პეტრე ტატარენკომ. მაშჩენკომ გადაჭარბებით შეასრულა თავისი ვალდებულება და ერთი თვის განმავლობაში მოიპოვა 8 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი, ხოლო პეტრე ტატარენკომ — 9.290 ტონა.

ტრესტ „კრასნოდონუგოლის“ № 12 შახტში მომუშავე საჭრელავი მანქანის მძღოლმა ივანე იზოტოვმა ამოიღო 8.500 ტონა ქვანახშირი, მაშინ, როცა მისი თვიური გეგმა 3.000 ტონა ქვანახშირს შეადგენდა.

მთელი ქვეყნისათვის ცნობილი გახდა შახტ „ცურინკას“ (კემეროვო) მნგრეველების პეტრე ტიუმენცევისა და ილია რიღოვის შესანიშნავი რეკორდები. პეტრე ტიუმენცევმა, რომელიც საკონვეიერო შტრეკის ლავაზე მუშაობდა, ერთ ცვლაში თითქმის 30 ნორმა (2.955 პროცენტი) შეასრულა. ილია რიღოვმა ერთ ცვლაში 25 ნორმაზე მეტი შეასრულა.

... ორი დღის განმავლობაში მძვინვარებდა ქარიშხალი აფშერონზე. ამ დროს შრომითი გმირობის მაგალითები გვიჩვენეს ტრესტ „არტემნავთის“ მე-4 საზღვაო სარეწის ნავთის მუშებმა. მიწისქვეშა რემონტის ოსტატი გუმბატოვი და მისი ამხანაგები მამედ ჯაფაროვი და მუხაილოვი 40 საათის განმავლობაში განუწყვეტლად აწარმოებდნენ სარემონტო სამუშაოებს, მიუხედავად იმისა, რომ ზღვის ტალღები ეხეთქებოდა პატარა კუნძულს და წალეკვას უქადდა მათ. ჭაბურღილი ვადაზე ადრე იქნა გარემონტებული.

პოდიუგში (არხანგელსკის ოლქი) ხე-ტყის პუნქტებში ამას წინათ წითელი არმიიდან დაბრუნდნენ დემობილიზებულნი ამხ. კოზლოვი და კუდრიაშევი. მუშაობის პირველივე დღიდანვე ყოფილი მეომრები მისაბაძნი გახდნენ ხე-ტყეზე მომუშავეთათვის. ამხ. კოზლოვის გამომუშავება საშუალოდ დღეში 4 ნორმას შეადგენს, ხოლო ამხ. კუდრიაშევისა — 2. გომელის სამშენებლო უბნის კალატოზმა მიტროფანე ბრონნიკოვმა ამას წინათ ერთ ცვლაში 31.600 აგური დააწყო და გეგმა 30-ჯერ გადაჭარბებით შეასრულა.

1945 წელმა, მტერზე სრული გამარჯვების წელმა, ახალი შესანიშნავი წარმატებები მოუტანა ჩვენს მიწადმოქმედებას. 1945 წლის საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სათესი ფართობის 8.1 მილიონი ჰექტარით გადიდებას, გადაჭარბებითაა შესრულებული.

გამარჯვების მოსავლის აღების საქმეში წამოიზარდნენ სტახანოვური შრომის ახალი გმირები. ზაპოროჟიელი კოლმეურნე ულიანა საბოკარი და მისი ამხანაგები ვერა შიშკო და რიმა შჩერბინა დღის განმავლობაში თითოეული 5 ათას ძნას ჰკრავდა. ანა ჩუევას რგოლის ბაშკირელი კოლმეურნენი დღის განმავლობაში თითოეული 6.000 ძნას ჰკრავდა.

ვოროშილოვგრადის ოლქის წარჩინებული მთიბავის ლავრენტი ილინოვის ნორმა 0.4 ჰექტარს შეადგენდა, ყოველდღიურად კი 2,13 ჰექტარს სცელავდა. საუკეთესო ტრაქტორისტმა ქსენია პეროვამ მოხნა 729 ჰექტარი და დაზოგა 1.475 კილოგრამი საწვავი.

სად არის ამ ტემპების წყაროები? როგორ იქნა მიღწეული მოკლე ხნის განმავლობაში ეს წარმატებანი აღდგენის საქმეში? საბჭოთა წყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობა — აი ჩვენი ძალების დიადი წყაროება.

მეურნეობის საბჭოთა სისტემის განსაკუთრებული ღირსებანი და უპირატესობანი, ხალხთა მასების შრომითი ენთუზიაზმი, ბრძნული ხელმძღვანელობა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა, რომლებმაც უზრუნველჰყვეს სოციალისტური მშენებლობის ისტორიული გამარჯვებები სტალინურ ხუთწლედებსა და სამამულო ომის პერიოდში, წარმოადგენენ ჩვენი ეკონომიკის მამოძრავებელ ძალებს ომის შემდგომ პერიოდშიც.

ამჟამად, ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, მშვიდობიან პირობებში ჩვენი მუშათა კლასი, ჩვენი კოლმეურნე გლეხობა მზად არიან მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ ბრძოლას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ომის შედეგების სწრაფად ლიკვიდაციისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ემზადება რა ახალი მეოთხე სტალინური ხუთწლედისათვის, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მთელი საბჭოთა ხალხი დარაზმავს თავის ძალებს, რათა მოიპოვოს ახალი წარმატებები მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაში.

